საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 111/01
06/01/2021

111-01-2-202101061247

შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების
უტილიცაზიის ცენტრი ეკოლოგის“ დირექტორს
ბატონ ვახტანგ წერეთელს
მის: *ქ. თბილისი, ლარსის შეს. №5, ბინა №29*
ელ. ფოსტა: vakhotsereteli@gmail.com

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 22 დეკემბრის სკოპინგის განცხადება (N20211), რომელიც ეხება, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში არსებული სამედიცინო ნარჩენების ინსინერაციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, მათ შორის წარმადობის გაზრდას და გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ინსინერატორის წარმადობა, ვინაიდან გვ.3-ზე აღნიშნულია, რომ ინსინერატორის მაქსიმალური წარმადობა იქნება 225 კგ/სთ, თუმცა ინსინერატორის ტექნიკურ პარამეტრებში მითითებულია, რომ წარმადობა შეადგენს 300 კგ/სთ-ს;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ინსინერატორის მუშაობის პრინციპი (ტექნოლოგიური პროცესის აღწერა);
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამუშაოები იწარმოებს ძირითადად ერთცვლიან, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში ორცვლიან რეჟიმში, სადაც ცვლის ხანგრძლივობა იქნება 8 საათი. დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს სამუშაო გრაფიკი (სამუშაო საათების მაქსიმალური რაოდენობა) და შესაბამისად, ინსინერატორში განადგურებული ნარჩენების წლიური სავარაუდო რაოდენობა;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინსინერაციის პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნაცრის რაოდენობა;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინსინერატორში გამოსაყენებელი საწვავის წლიური ხარჯი;
- გაზრდილი წარმადობიდან გამომდინარე, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების წინასწარი შეფასება, მათ შორის მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები;
- მოცემული მუნდა იყოს ინსინერაციას დაქვემდებარებული ნარჩენების სახეობები „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და

კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტო N426 დადგენილების შესაბამისად;

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესაბამისად, განსახორციელებელი სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების შესახებ. ასევე ინფორმაცია ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების და მათი საბოლოო მართვის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის, კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია უნდა იქნეს ასახული სკოპინგის ანგარიშში;
- წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში საპროექტო ცვლილების გარდა უნდა მოიცავდეს არსებული რეალობის გათვალისწინებით საწარმოს მიმდინარე საქმიანობის შესახებ ერთიან ინფორმაციას;
- წარმოდგენილი უნდა იყოს 2016 წლის 6 ივნისს გაცემული N30 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ ან მათი შესრულების შეუძლებლობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დეტალური ინფორმაცია. ამასთან 2016 წლის 6 ივნისს გაცემულ N30 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებულ საქმიანობაზე პირობების შესრულების მიზნით განსაზღვრული გონივრული ვადების შესრულების შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „საწარმოს ჩამდინარე წყლების ხარისხისადმი მოცემული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის გამოყენებული იქნება „УКО-300“ მოდელის კომპაქტური გამწმენდი ნაგებობა, რომლის წარმადობა იქნება 2 $მ^3$/სთ“. თუმცა, 2016 წლის 6 ივნისს გაცემული N30 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ტერიტორიაზე გათვალისწინებული იყო NGP-S (B) ტიპის NPG-S-2B მოდელის კომპაქტური გამწმენდი ნაგებობა. შესაბამისად, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია აღნიშნული დანადგარის ცვლილების შესახებ (დანადგარის განთავსებიდან გამომდინარე ზემოქმედების საკითხები).

სამინისტრო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად სრულყოფილი, განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე